თარგმანის თეორია და მთარგმნელობთი პრაქტიკა

სამაგისტრო პროგრამა

1. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა და მხატვრული თარგმანი
Nineteenth-Century Georgian Literature and Literary Translation

სალექციო კურსი სტუდენტებს მისცეს სისტემურ ცოდნაS, რომელიც დაეხმარება მათ დაგროვებული ცოდნის პრაგმატიზაციასა და აქტუალიზაციაში. სტუდენტები შეისწავლიან XIX საუკუნეში შესრულებული ქართული თარგმანების ისტორიას, პროზაული და პოეტური თარგმანის განვითარების ტენდენციებს.

2. XX საუკუნის თარგმანის ისტორია (თეორიული ასპექტები)
The History of 20th-Century Translation (Theoretical Aspects)

სალექციო კურსის შეასწავლის მაგისტრანტებს XX საუკუნის ლიტერატურული მიმდინარეობების - პრემოდერნიზმის, მოდერნიზმის, იმაჟიზმის, პატაფიზიკის, პოსტმოდერნიზმის, ავტოფიქციის - მწერალთა ნაწარმოებების ქართული თარგმანების ისტორიას, პროზაული და პოეტური თარგმანის განვითარების თავისებურებებს.

3. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
human right

კურსი სტუდენტებს შეასწავლის ადამიანისა და მოქალაქის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, მათი განხორციელებისა და დაცვის პირობები და შესაძლებლობები, ამ სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივები.

4. ზეპირი და ეკრანული თარგმანი (რუსული/გერმანული) 1, 2.
Oral and audiovisual translation(Russian /German) 1, 2.

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები მიიღებენ თეორიულ ცოდნას ზეპირ თარგმანთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხზე, შეიძენენ იმ უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას, რომლებიც აუცილებელია ზეპირი მთარგმნელისათვის, თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას,რომელიც დაეხმარებათ დამოუკიდებლად შეასრულონ ზეპირი თარგმანი და, ასევე, ღრმად ჩასწვდნენ ეკრანული თარგმანის სირთულეებსა და თავისებურებებს.

5. თარგმანის სტილისტიკა
stylistics of translation

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია თარგმანის სტილისტიკის თეორიულ ბაზაზე ინფორმაციული და მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციისა და თარგმნის ტექნიკის დაუფლება; დედნისა და თარგმანის კომპარატიული ანალიზის მეთოდიკის ათვისება.

6. თარგმანმცოდნეობა 1,2.
Translation Studies

სალექციო კურსი, მაგისტრანტებს მისცემს სისტემურ ცოდნას თანამედროვე თარგმანმცოდნეობის ძირითადი ტექსტოლოგიური, კულტუროლოგიური, სოციოლოგიური და სხვ. პრობლემების შესახებ, რომლებიც საერთოა ენათა ნებისმიერი კომბინაციისათვის.

7. კანონის ენა

Language of Law

ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის შემუშავებული სპეციალური კურსი კანონის ენაში სპეციალისტებს მოამზადებს იმ უმნიშვნელოვანეს დარგში, რომელსაც იურისლინგვისტიკა ეწოდება; იურიდიული დოკუმენტები კი, თავის მხრივ, ობიექტურად ასახავს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივას. ზემოთ დასახელებული კურსი კანონშემოქმედებით პროცესში წერისა და თარგმანის კულტურის გაუმჯობესებას ემსახურება.

8. ლიტერატურული კომპარატივისტიკა

Comparative Literature

სალექციო კურსი მისცემს მაგისტრანტს ლიტერატურული ურთიერთობების, როგორც ტიპოლოგიური, ასევე კონტაქტური კავშირების, მათი კვლევის ძირითადი მეთოდების სისტემურ ცოდნას, რის საფუძველზეც ეროვნულ ლიტერატურებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს განიხილავს საერთაშორისო-ისტორიულ კონტექსტში, რაც მას აძლევს, ერთი მხრივ, ეროვნული და, მეორე მხრივ, მსოფლიო ლიტერატურის არსის შეცნობის შესაძლებლობას.

9. მხატვრული თარგმანის ანალიზი და კრიტიკა

Analysis and critics of literary translation

სალექციო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია მხატვრული თარგმანის ანალიზისა და კრიტიკის ზოგადი და კერძო საკითხების სისტემური შესწავლა; თარგმანის კრიტიკისა და შეფასების ჩვევების გამომუშავება.

10. პრაქტიკული რიტორიკა

Practical rhetoric

სასწავლო კურსის სტუდენტებს მისცემს სისტემურ ცოდნას, როგორ მოახდინონ დაგროვებული ცოდნის პრაგმატიზაცია და აქტუალიზაცია. კურსი შეასწავლის მაგისტრანტებს პრაქტიკული რიტორიკის ძირითად საკითხებს: დისკუსიის წარმართვას, საჯარო გამოსვლისათვის მომზადების, აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებისა და მასზე ზემოქმედების მოხდენის, შესაფერისი სამეტყველო სტილისა და მეტყველების სიზუსტის, ლოგიკურობისა და გამომსახველობის მიღწევის წესებსა და სტრატეგიას.

11. რომის სამართლის საფუძვლები

Foundations of Roman law (Basics of of Roman law)

რომის სამართლის საფუძვლები, როგორც იურიდიული დისციპლინა, გულისხმობს ძველი რომის სახელმწიფოებრიობისა და სამართალგანვითარების ევოლუციის შესწავლას პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე.

12. სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)

penal code

სასწავლო კურსი თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს შეუქმნას ცოდნის მარაგი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ძირითად ინსტიტუტებზე, შეასწავლოს სათანადო ტერმინოლოგია, რათა მათ შეძლონ ამ ტერმინოლოგიის გამოყენება მთარგმნელობით თუ სხვა სახის საქმიანობაში.

13. ტექსტის თარგმნამდელი ანალიზი (რუსული და გერმანული ენების მასალზე)

pre-translation analysis (based on Russian and German languages)

სასწავლო კურსი განუვითარებს მაგისტრანტებს თარგმანის პრაქტიკულ ჩვევებს. ასწავლის მათ, როგორ ჩასწვდნენ ტექსტის ენას, როგორც მთლიან სისტემას, გაიაზრონ ტექსტის შექმნის მექანიზმი და შეძენილი უნარ-ჩვევები გამოიყენონ პრაქტიკულ მთარგმნელობით საქმიანობაში.

ტექსტის თარგმნამდე მაგისტრანტებმა უნდა შეძლონ, დაამუშაონ და შეისწავლონ სათარგმნი მასალა, გაარკვიონ მისი ჟანრული, ენობრივი, შინაარსობრივი თავისებურებანი.

14. ქართული ენის პრაქტიკული კურსი 1,2.

Practical course of Georgian 1, 2.

ქართული ენის **პრაქტიკული** კურსის ფარგლებში მაგისტრანტები დაეუფლებიან ქართული ენის მართლწერის ძირითად წესებს.

15. ქართულ – ევროპული ლიტერატურულ- მთარგმნელობითი ურთიერთობები

Georgian- European literary and translation connections

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ქართულ – ევროპული მთარგმნელობითი ურთიერთობების ისტორიის სისტემური შესწავლა კულტურულ-ლიტერატურულ ჭრილში.

16. ქართული ენის ფუნქციური გრამატიკა (არაქართულენოვანთათვის)

functional grammar of the Georgian language (not for the Georgian-language)

ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის კურსის ფარგლებში სტუდენტები, რომელთათვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური, სიღრმისეულად გაიაზრებენ ენობრივ ფორმებს ფუნქციური თვალსაზრისით, შეისწავლიან ენის გრამატიკულ კატეგორიათა ფუნქციებს და გარკვეული შინაარსის გამოსახატავად სხვადასხვა ენობრივი ფორმის მიზანმიმართული გამოყენების შესაძლებლობას.

17. ქართული სამართლის ისტორია

History of Georgian law

კურსის ფარგლებში სტუდენტი დაეუფლება ცოდნას ძველი ქართული სამართლის წყაროებისა და მისი ცალკეული დარგების შესახებ, მათ შორის ძველი ქართული სახელმწიფო, სისხლის, სანივთო, ვალდებულებითი, საოჯახო, სამემკვიდრეო, პროცესუალური სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შესახებ; ასევე, იმ იურიდიული ხასიათის შეხედულებებზე, რომლებიც არაერთი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა სხვადასხვა თაობის ცნობილი ქართველი მოაზროვნეების ნაშრომებში.

18. შეპირისპირებითი სტილისტიკა

Comparative stylistics

შეპირისპირებითი სტილისტიკის კურსი აძლევს სტუდენტებს იმ ცოდნას, რომელიც მათ დაეხმარება ორი განსხვავებული ენის გამომხატველობითი შესაძლებლობების შეპირისპირების გზით მოძებნონ და დაადგინონ ენათშორისი ეკვივალენტები ზუსტი თარგმანის შესასრულებლად.

19. გერმანული ენა1, 2, 3.

German 1, 2, 3.

გერმანული ენის კურსი უზრუნველყოფს ენის კომპეტენციის სრულყოფას და მის კომპეტენტურ დონეზე გამოყენებას მოთხოვნების შესაბამისად. კურსის ძირითადი

მიზანია მაგისტრანტების ენობრივი კომპეტენციის დონის ამაღლება C1.1 დონეზე ენათა საერთო ევროპული ჩარჩოს სტანდარტების მიხედვით, გერმანული ენის საკომუნიკაციო (ზეპირი და წერილობითი) უნარ-ჩვევების კომპეტენტურ დონეზე განვითარება, რათა მან შეძლოს შეძენილი ცოდნის თავისუფლად გამოიყენება გერმანულენოვან ბუნებრივ გარემოში. ლექსიკურ-გრამატიკული და რთული ენობრივი სტრუქტურების დაუფლებით იგი შეძლებს სხვადასხვა სირთულის სამეცნიერო და დარგობრივი ლიტერატურის დამუშავებას, გაგებას, კრიტიკულ ანალიზსა და დასკვნების გაკეთებას.

20. თარგმანის პრაქტიკული კურსი (გერმანულენოვანი ტექსტის თარგმნა) 1, 2, 3.
Practical course in translation (German-language translation of the text) 1, 2, 3.

კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების ადეკვატურად თარგმნის უნარ-ჩვევები, რაც მათ დაეხმარებათ დედნისა და თარგმანის ადეკვატურობის მიღწევაში. მაგისტრანტები დაეუფლებიან თარგმანის ძირითად ხერხებსა და პრინციპებს. ამ ამოცანას ემსახურება პრაქტიკული მეცადინეობები, რომლებზეც მაგისტრანტებს სათარგმნელად ეძლევათ განსხვავებული სტილის ტექსტები, ასევე სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციის სავარჯიშოები, რაც საშუალებას იძლევა, გადაილახოს მთარგმნელობითი სირთულეები.

21. იურიდიული ინგლისური ენა 1, 2, 3.
Legal English 1, 2, 3

კურსის მიზანია, მისცეს მაგისტრანტს იურიდიული ტერმინოლოგიისა და ენის საფუძვლიანი და მყარი ცოდნა, რაც მას დაეხმარება იმაში, რომ შეეძლოს იურიდიულ გარემოში ინგლისურ ენაზე სრულფასოვანი კომუნიკაცია.

22. პრაქტიკული იურიდიული თარგმანი (ინგლისურენოვანი იურიდიული დოკუმენტაციის თარგმანი)1, 2, 3.
Practical legal translation (English translation of legal documentation) 1, 2, 3.

კურსის მაგისტრანტებს გამოუმუშავებს იურიდიული დოკუმენტების თარგმნის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. იგი შეასწავლის სტუდენტებს დარგობრივი იურიდიული ტექსტების პრაქტიკული თარგმანის პრინციპებს, იურიდიული ტექსტების ენობრივ და სტილისტურ თავისებურებსა და მთარგმნელობითი სირთულეების დაძლევის ხერხებს.

23. „პრაქტიკული იურიდიული თარგმანი (გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტაციის თარგმანი)“ 1, 2, 3.
Practical legal translation (German translation of legal documentation)1, 2, 3.

კურსი სტუდენტს უვითარებს დარგობრივი (იურიდიული) ტექსტების, დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების თარგმნის უნარ-ჩვევებს, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად; გამოუმუშავებს გერმანული ენის ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს და განუვითარებს სათანადო კომპეტენციებს. პრაქტიკული მეცადინეობებით და სხვადასხვა ტიპის წერილობითი და ზეპირი სავარჯიშოებით სტუდენტი გაიღრმავებს გერმანული დარგობრივი ენის ცოდნას და სათანადო თარგმნის ტექნიკას გაიუნჯობესებს. კურსი ითვალისწინებს სტუდენტებს

გააცნოს დარგობრივი იურიდიული ტექსტების პრაქტიკული თარგმანის პრინციპები, შეასწავლოს იურიდიული ტექსტების ენობრივი და სტილისტური თავისებურებანი და თარგმნის დროს არსებული სირთულეების დაძლევის ხერხები.

გერმანული და ქართული ენების განსხვავებული ენობრივი სტრუქტურების გაანალიზების საფუძველზე სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს იურიდიული ტექსტის მართებულად გაგების უნარი და შეძლოს როგორც შინაარსობრივად, ასევე სტილისტურად გამართული ტექსტის აგება.

24. რუსული ენა 1, 2, 3.

Russian 1, 2, 3.

შემოთავაზებული კურსი უზრუნველყოფს ენის კომპეტენციის სრულყოფას არსებული საკომუნიკაციო და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად. კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის დონის ამაღლება B 2.2 დონეზე ენათა საერთო ევროპული ჩარჩოს სტანდარტების მიხედვით.

პრაქტიკული კურსის სწავლის მიზანს წარმოადგენს პრაგმატული, კოგნიტიური და აფექტურ-ემოციური განზომილებების ჩამოყალიბება. კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს რუსული ენის საკომუნიკაციო (ზეპირი და წერილობითი) უნარ-ჩვევები, რათა მან შეძლოს შეძენილი ცოდნის თავისუფლად გამოიყენება რუსულენოვან ბუნებრივ გარემოში. ლექსიკურ-გრამატიკული და რთული ენობრივი სტრუქტურების დაუფლებით იგი შეძლებს ხვადასხვა სირთულის სამეცნიერო და დარგობრივი ლიტერატურის დამუშავებას, გაგებას, კრიტიკულ ანალიზს და დასკვნების გაკეთებას.

25. თარგმანის პრაქტიკული კურსი (რუსულენოვანი ტექსტის თარგმნა) 1, 2, 3.
Practical course in translation (Russian translation of the text) 1, 2, 3.

კურსის მიზანია მაგისტრანტები დააუფლოს თარგმანის ძირითად ხერხებსა და პრინციპებს, გამოუმუშაოს სხვადასხვა ტიპის ტექსტების ადეკვატურად თარგმნის უნარ-ჩვევები.

26. შესავალი სამართალმცოდნეობაში
Introduction to Jurisprudence

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტი დაეუფლება სამართლის მეცნიერების საფუძვლებს.

27. რუსული ენის ფუნქციონალური გრამატიკის საფუძვლები
Bases of functional grammar of Russian

სალექციო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ფორმირება, რომლებიც დაკავშირებულია რუსულის, როგორც უცხო ენის, ლინგვისტური ფაქტების განსხვავებულ ხედვასთან; სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ენობრივი ფაქტების მათი ფუნქციურ-კომუნიკაციური ღირებულების პოზიციიდან ამორჩევისა და განხილვის უნარ-ჩვევები.

28. კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი
constitutional law

საკონსტიტუციო სამართალი თანამედროვე საქართველოს სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი დარგია. კურსი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის კონსტიტუციური საფუძვლები, სახელმწიფოს ფორმა, საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი და მთავრობა და სხვა სამართლებრივი ინსტიტუტები და

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის სრულყოფილად ათვისების საშუალებას იძლევა.

29. თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია
Lexicology of Modern Russian

კურსის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან ლიტერატურული მეტყველების გამომსახველობითი საშუალებებს, რაც ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობაში. აგრეთვე, მაგისტრანტებმა უნდა გაიღრმაონ ლექსიკური მარაგი, გაეცნონ თანამედროვე რუსულ ენაში მიმდინარე აქტიურ პროცესებს. მათ წარმოდგენა შეექნებათ ენაზე, როგორც სისტემაზე, ლექსიკის ადგილზე რუსული ენის სხვა დონეებს შორის და მის თავისებურებებზე.